



[RSS](#)


- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / 280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრა ჰესის მშენებლობა იწყება
31.08.2015

280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრა ჰესის მშენებლობა იწყება

[დათო ქოქოშვილი](#)

საპარტნიორო ფონდმა, კორეულმა კომპანიამ K-Water, საქართველოს მთავრობამ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ (ესკო) და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ხელი მოაწერეს ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულებათა პაკეტს. ამის შესახებ ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც საპარტნიორო ფონდის პრესსამსახური ავრცელებს.



პაკეტი აერთიანებს პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულებას, ელექტროენერჯის შესყიდვისა და პროექტთან დაკავშირებულ სხვა თანადართულ ხელშეკრულებებს. საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, საიმპლემენტაციო ხელშეკრულებათა პაკეტზე ხელმოწერა გულისხმობს, რომ პროექტის დასაწყებად ყველა ტექნიკური, ფინანსური და იურიდიული დეტალები შეთანხმებულია და სამშენებლო კომპანია უახლოეს დღეებში ჰესის მშენებლობის სამობილიზაციო სამუშაოებს დაიწყებს.

„ეს არის საქართველოში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე აშენდება,“ განაცხადა მან და დასძინა, რომ 280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურს საპარტნიორო ფონდი კორეულ კომპანია K-Water-თან ერთად სვანეთში მდ. ენგურის შენაკადზე აშენებს, რომლის პოტენციური წლიური გამომუშავებაც 1.2 მლრდ კვტ/სთ. იქნება.

ფონდის განცხადებით, სადგური ელექტროენერჯის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, ხოლო პროექტი საბოლოოდ 2021 წელს დასრულდება. პროექტის ჯამური ღირებულება 1 მლრდ აშშ დოლარია. საბანკო სესხის კომპონენტში მონაწილეობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და კორეის „ექსიმ ბანკი.“ პროექტში ფონდის მრჩეველია საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC). მშენებლობას იტალიური კომპანია - Salini Impregilo ახორციელებს.

სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდი საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წელს დაარსდა. სახელმწიფო ფლობს ფონდის 100%-ს. საპარტნიორო ფონდის აქტივები 5 მილიარდ ლარს აჭარბებს. ფონდი ფლობს „საქართველოს რკინიგზის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, ელექტროსისტემების კომერციული ოპერატორისა“ და ნაწილობრივ, „თელასის“ აქციებს. ფონდის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა

საინვესტიციო მიმართულებებთან ერთად სახელმწიფო სტრატეგიული აქციების კორპორატიული მართვა.

ნენსკრა ჰესის პროექტის განხორციელებას ეწინააღმდეგებიან სტუდენტური მოძრაობები და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი. თბილისში EBRD-ის ღონისძიებებისა და შეხვედრების პარალელურად, რომელიც მისში გაიმართა, სტუდენტური მოძრაობა "შვანე მუშტის", არასამთავრობო ორგანიზაციების "შვანე ალტერნატივის" და "სტეფანწმინდის" საპროტესტო აქცია [გაიმართა](#).

Like 12

G+1 0

Tweet 0

კომენტარი

0 Comments Netgazeti

1 Login ▾

Recommend Share

Sort by Best ▾

 Start the discussion...

Be the first to comment.

ALSO ON NETGAZETI

ახარტული თამაშების პირველივე შემთხვევაზე პირს ...
4 comments

ოქროყანაში ერთი ადამიანი მოკლეს და ერთი დაჭრეს
1 comment

გერმანიაში სირიელ მიგრატებს აპლოდისმენტებით
შეხვდნენ ... 1 comment

“ქართული ოცნება”: ირმა ინაშვილს ამომრჩეველი
შეცდომაში ... 1 comment

AROUND THE WEB

WHAT'S THIS?

10 Website Builders That Really Work Top 10 Website Builders

The Ultimate Way to Get Cheap Hotel Rooms Save70

Sparta : The Strategy Game Phenomenon of 2015

Sparta Online Game

Stormfall: Free And Addicting Strategy Game! Prepare For

War! Stormfall - Online Game

Subscribe Add Disqus to your site Privacy

სხვა სტატიები - ახალი ამბები



2015.09.09

[კახა მამულაშვილი 15 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ სასამართლომ გაათავისუფლა](#)

მუსიკალურ პროდუსერ კახა მამულაშვილს, რომელსაც ბრალად წარკოტიკული დანაშაული ედება, ადვოკატის ღონისძიების ფორმა შეეცვალა. კახა მამულაშვილი სასამართლომ 15 ათასი ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ დღეს წინასასამართლო სხდომიდან გაათავისუფლა.